ლილა

„ბუბავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
საქმობლო გაახარეო!“

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკირეწლოვანთათვის
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

572
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 2 თებერვალი 1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

რატომ მიყვარს თებერვალი

თებერვალი მიტომ მიყვარს,—
ცივი ზამთრის დასასრული,
რომ იღვიძებს დედამიწა
ეინვისაგან გაძარცული.

არეშარე მოიხედავს
ნაიოში და ნაზამთრალი,
გაზაფხულის შესახვედრად
ამზუშნება მთა და ბარი.

ძუნ აალეობს ოქროს სიმებს,
ეფიერება სითბოს ძალა
და ჯეჯილიც ცას შესცინებს,—
არ დამზრალა, არ დამზრალა!

თებერვალი მიტომ მიყვარს,
რომ ჩადგება ხეში წვალი,
მიტომ მიყვარს, მისთვის მიყვარს
საქართველოს თებერვალი,—

რომ ლხინი დგას მთა და ბარში,
ყველგან მზეა, ყველგან თბილა,
რომ ჩვენს მამულს თებერვალში
გაუთენდა შვების დილა.

ამირან აბაშილავა

მარინეს სურვილი

წამიყვანე არჩევნებზე,
გევედრები, ჩემო ბები,
დილით ადრე გაგიღვიძებ,
სასაზეიმოდ მოვირთვები.

ალარ გახსოვს, წაგიყვანო,
შესრულება ასე უნდა?!
განა კიდევ ჰატარა ვარ,—
ხუთი წელი შემისრულდა!

წამიყვანე, რა იქნება,
შენ ხომ ყველგან მატარებდი.
იქ, მე ვიცი, იქნებიან
ჩემი ტოლი ჰატარებიც.

შენც ხომ წახვალ, დედაც წავა,
მამაც, ჰაჰაც, თითქმის ყველა,
წამიყვანეთ, მეც ძალჩვენეთ,
ხმას რომ მისცემთ ჩვენს დიდ ბელადს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარკოიანი

ნახატი **გრ. ჩირინაშვილისა**

ს ი მ ღ ე რ ა

ვერ შებღალონ ჩვენი მიწა
მტრებმა, გადამთიელებმა;
საბჭოეთის ჯარი იცავს
ჩვენი ქვეყნის მლიერებას.

ვინც კი მტრობას ჩვენთან ჩემობს,
ნატრობს ბაღის აოხრებას,
აბა, სინჯოს და იგემოს
ჩვენი დარტყმის საოცრება!

დე, იეფფონ ჯალათებმა,
მკვლელებმა და ეაჩაღებმა,
ეველამ ვიცით, სისხლისმსმელებს
უნდათ ომის გაჩაღება.

ჩვენი ჯარი მტკიცედა დგას
დღეს მშვიდობის დარაჯადა,
და ჩვენს ახლოს არ მოუშვებს
ომის მსურველ არაშზადას.

დე, იეფფონ ბოროტებმა,
მტრებმა, გადამთიელებმა,
საბჭოეთის ჯარი იცავს
ჩვენი ქვეყნის მლიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაკიმ ნაზირი

ნახატები ალ. ბანძელაძისა

ერთი წერილის ამბავი

ვინ არ იცნობს პატარა ნიკოს! ცელქი, მხიარული და ჩიტივით უზრუნველი ბავშვია.

ნამდვილი ოხუნჯია ნიკო.

ერთ დღეს თავთავს ვკრეფდით, მერე ჩრდილში თავი მოვიყარეთ. ნიკოსათვის ძნელი იყო ერთ ადგილას, თუნდ ერთი წუთით ჯდომა, მან თქვა:

— ბიჭებო! მოდი, ერთ ამბავს გიამბობთ, მხოლოდ ამ ჯერად სასაცილოს ნურას ელით, ეს ამბავი მე გადამხდა.

— კარგი,—თქვეს ყმაწვილებმა.

— მხოლოდ არავის უთხრათ, რასაც გეტყვით.—გააფრთხილა ნიკომ ამხანაგები და ამბავი დაიწყო:

— ერთხელ, სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი. ვხედავ, ჩემი პიონერული ყელსახვევი თავის ადგილზე არ დევს. აქეთ ვეცი, იქით ვეცი,—არ არის და არა. კარგად მახსოვდა, რომ წინა საღამოს ჩემი საწოლის გვერდით სკამზე დავდე. სად გაქრა ღამის განმავლობაში? ეზოშიც ვეძებე, მაგრამ ამაოდ, სკოლაში უყელსახვევოდ წასვლა კი არ შეიძლება. სწორედ იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ პიონერრაზმის შეკრება გვქონდა.

სკოლაში უყელსახვევოდ წავედი და ვხედავ, მეორე გაკვეთილი დაწყებულა. როგორ მოვიქცე? უყელსახვევოდ მივედი და თან გაკვეთილებზედაც დავიგვიანე. გავიფიქრე: მოდი, სულ არ შევალ, მოვიმიზეზებ, ვითომ თავი მტკივა.

მინდორზე გამოვედი, ბალახზე დავჯექი და ვფიქრობ: ყელსახვევი დავკარგე, გაკვეთილებს არ ვესწრები... შეკრებაზედაც აღარ წავიდე? „წადი მეთქი“,—ვუთხარი ჩემს თავს,—„ნიკო, შეკრებაზე მაინც წადი! ნაკლები დანაშაული გექნება“.

როგორც იქნა, ველირსე გაკვეთილების დამთავრებას. პიონერთა ოთახში შეუმჩნევლად შევიპარე. მოსწავლეები მეკითხებოდნენ; გაკვეთილებზე რად არ იყავიო! „ლამის თავი გამისკდეს, ისე მტკივა, ხომ ხედავთ, შეკრებაზედაც ძლივს მოვლასლასდი“,—ვუთხარი ამხანაგებს. იმათაც დამიჯერეს. ამ დროს პიონერხელმძღვანელი მომიახლოვდა და მითხრა:

— ნიკო, სად არის შენი ყელსახვევი?

— დედამ გარეცხა და ჯერ არ გამშრალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, ერთი კვირის წინ ხომ იცოდი, რომ შეკრება უნდა ყოფილიყო!

რა მეთქვა? გავწითლდი და თხუნელასავით გავინაბე. ხელმძღვანელმა მითხრა:

— შეკრების შემდეგ ერთად წავიდეთ, გზა მაინც იქით მაქვს. თქვენთან შემოვივლი, ვინ იცის, მანამდე შენი ყელსახვევი გაშრეს კიდეც.

შეკრების შემდეგ მე და ხელმძღვანელი შინ წავედით. გზაში სულ იმას ვფიქრობდი, სად მეპოვა ჩემი ყელსახვევი.

ეზოში შეველი თუ არა, მივიხედ-მოვიხედე, სადმე სარეცხი ხომ არ ეკიდა. ოთახში განგებ შევირბინე და წამოვიძახე:

— ოჰო, სარეცხი გამშრალა! დედამ ალბათ აკრიფა და სადმე შეინახა. თვითონ მინდორში წასულა... რა ვქნათ?

სწორედ იმ დროს ეზოში ჩემი პატარა ძმიკო სანდრო შემოვიდა, ჩემი ყელსახვევი მას ჰქონდა გაკეთებული.

მიწაში რომ ჩავმძვრალიყავი, ის მერჩივნა. ხელმძღვანელი იქ რომ არ ყოფილიყო, ერთი მაგრა მივბერტყავდი სანდროს, კარგად დამახსოვრებოდა, რომ სხვისი ყელსახვევის გაკეთება არ შეიძლება!

პიონერხელმძღვანელი მოიღუშა:

— მომავალ შეკრებაზე ყველაფერს იტყვი, ეს როგორ მოხდა.—მითხრა და წავიდა.

სანდროს მიტყეპვა ვერ მოვასწარი, დედამ მომისწრო.

— რა მოხდა?—იკითხა მან.

— ეს რას ჰგავს!—ვუთხარი მე. — სხვისი ყელსახვევი გაიკეთა და მთელ სოფელში ისე დადის, ვითომც პიონერი იყოს.

ვიდრე სკოლაში წავიდოდი, სანდრო თურმე ჩემზე უწინ გამოწყობილა, ჩემი ყელსახვევი გაუკეთებია და დეიდასთან სტუმრად წაბრძანებულა. აბა, ეს რა საქციელია?

მეორე დღეს სკოლაში გეახელით. თითქოს ყველაფერი რიგზეა. „ალბათ ვერ შეამჩნიეს გუშინდელი ჩემი გაცდენა“,—გავიფიქრე, მაგრამ კლასის დამრიგებელმა დამიბარა და კონვერტი გად მომცა—მამას მიუტანეო.

— კარგი, წავიღებ-მეთქი, თავს გავიფიქრე: „საიდან შეიძლებოდა, რომ მამას წერილი მოსვლოდა? ან სკოლაში როგორ მოხვდა? მისამართი რატომ არ აწერია, მარკები რად არ აქვს დაკრულები?..“—„დაიცა-დაიცა“,—ვუთხარი ჩემ თავს. „აქ რაღაც ამბავია, უნდა გავხსნა“.

შინ გავიქეცი, წერილი ფრთხილად გავხსენი და წავიკითხე: „ხვალ სკოლაში შემოიარეთ. უნდა მოგელაპარაკოთ თქვენი შვილის მიერ გაკვეთილების გაცდენის გამო“.

— აი, უბედურება! არა, რად უნდა შევაწუხო მამა?

დიდხანს ფიქრის შემდეგ წერილი დავხიე.

მეორე დღეს მასწავლებელი მეკითხება:

— როდის მოვა მამაშენი?

— ახლა ბევრი საქმე აქვს და ამ დღეებში ალბათ ვერ მოვა,—ვუპასუხე.

მეგონა, ლაპარაკი ამით დამთავრდებოდა და გამეხარდა, მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

ერთ მშვენიერ დღეს შინ არხეინად ვზივარ და გაზეთს ვკითხულობ. უცებ მამაჩემის ფეხის ხმა მომესმა. უნდა გამოგიტყდეთ, მეგობრებო, რომ ჩემს სიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლეში პირველად ვნახე მამა ასე გულ მოსული. შემოვიდა თუ არა ოთახში, მოიღუშა და იმ წამსვე დედას დაუძახა:

— მარიამ! სად არის ნიკო?

დედა სამზარეულოდან გამოეხმაურა:

— ოთახში წიგნს კითხულობს.

მე შემეშინდა, ლოგინში ჩავწექი და თავი მოვიმძინარე. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო შემოვიდა და მითხრა:

— ადექი, ძამიკო, სადილი მზად არის.

ავდექი და თან ვფიქრობ: „აბა, ნიკო, წადი ახლა და გამოტყდი. ყულფი გაიხსნა და თოკს ბოლო გამოუჩნდა“.

— დღეს რა ადრე დაწექი, შვილო?— მკითხა მამამ, როცა სუფრასთან მივლასლასდი.

— ხვალ დილით ადრე მინდა ვიმეცადინო, გაკვეთილები მაქვს დასამზადებელი,—ვუპასუხე.

— მე კი მგონია, რომ შენ გაკვეთილების მხრივ საქმე კარგად ვერა.გაქვს. ჰა, რას იტყვი? მოწაფემ ერთი გაკვეთილიც რომ გააცდინოს, სწავლაში ჩამორჩება. ასე არ არის?—და მამამ ყურადღებით შეხედა დედას. მე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი.—„აბა, გამოტყდი, ნიკო!“ გავიფიქრე გულში და ყველაფერი დალაგებით ვუამბე.

მამამ დიდხანს მისმინა და შემდეგ თავი გადაიქნია:

— მაშასადამე, იცრუე და მერე როგორ! ამხანაგები, ხელმძღვანელი, მასწავლებელი და მშობლები შეცდომაში შეიყვანე. განა პიონერი ასე უნდა იქცეოდეს? ყელსახვევზე დაიხედე; როცა პიონერთა რიგებში შედიოდი, როგორი დაპირება მიეცი ამხანაგებს, გახსოვს?

მე ჩუმად ვიჯექი, მამას სახეში ვერ ვუყურებდი. ის კი განაგრძობდა:

— გახსოვს შენი დაპირება, შვილო?

— მახსოვს,—ვუპასუხე ისე, რომ ჩემი ხმა მე თვითონ ძლივს გავიგონე.

— რა გაეწყობა,—თქვა მამამ,—ხვალ სკოლაში წავიდეთ, შევკრიბოთ ყველა მოსწავლე და შენს საქციელზე ვიმსჯელოთ.

— ერთხელ აპატიეთ,—წამექომაგა დედა,—ნიკო არასოდეს ტყუილს აღარ იტყვის.

— ხომ ასეა?—მკითხა მამამ.

— დიახ,—ვუპასუხე გაბედულად,— პიონერულ სიტყვას ვიძლევი, თუ კიდევ ვინმე მოვატყუე, შვილად აღარ ჩამთვალოთ!

— კარგი,—თქვა მამამ და ჩაფიქრდა.— ახლა გაპატიებ, მაგრამ ერთი პირობით: მოდი, ერთმანეთს შევეჯიბროთ.

პირველად ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა: ის ტრაქტორისტია, მე კი მოსწავლე, როგორ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს?—ვფიქრობდი ჩემთვის. მამამ ამიხსნა: რომ ის ვალდებულებას იღებს ხვნის გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს, მე კი ყველა საგანში ოთხიანები და ხუთიანები უნდა მივიღო, ყოფაქცევაშიც კი; ეს კი მოგეხსენებათ, ჩემთვის მეტად ძნელი საქმეა! აბა, ვინ გაასწრებს?

მე თუ ვაჯობე, ბიჭებო, — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ,—მაშინ მამა ამ ზაფხულს მოსკოვში წამიყვანს. შეიძლება იქ ისეთი ბედნიერება მეწვიოს, რომ ძია სტალინი ვნახო... ოღონდ ამას ჯერ ნურავის ეტყვით.

ნიკომ თვალები ეშმაკურად მოჭუტა და დაუმატა:

— იქნებ ვაჯობო და ეს ნატვრა გამიმართლდეს?!

თარგმანი **ნინო თოფჩიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადაშვილი

გაფრენილი ჩიტის გადაღებაც ვიცით



მე, გივი და რეზო,
ქეთინო და სხვები
სკოლის ფოტოწრეში
ერთად ვირიცხებით.

აპარატი ყველამ
შევიძინეთ შარშან,
გადაღებაც ვიცით,
შეკეთებაც, დაშლაც.

ჩვენი სკოლა, ეზო
გადავიღეთ ხელად,
გადავბეჭდეთ სუფთად,
დავურიგეთ ყველას.

ბევრჯერ გადავიღეთ
მოკუნტრუშე კვიცი,
გაფრენილი ჩიტის
გადაღებაც ვიცით.

სკოლისათვის ახლა
ვაწყობთ გამოფენას,
ჩვენი სურათები
მოდით, ნახეთ თქვენაც.

ნახატები **გ. როინიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ხახატი ზ. ლეჟავა

თოვლის პაპავ, ნახვამდის

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

თოვლის პაპას მოუსხამს
მხრებზე თეთრი ნაბადი,
ჯოხი დაუბჯენია,
მაგრამ არსად არ დადის:
დღე და ღამე ფეხზე დგას,
ვერც ჯდება და ვერც წვება:
შეუფიფქა თმა-წვერი
თოვლის რბილმა ბეწვებმა.
შეხეთ, მისი ჩიბუხი
აღარ ბოლავს, ჩამქრალა:
ცეცხლი მოვურბენინოთ,
გააბოლოს ჩქარ-ჩქარა!

თ ო ვ ლ ი ს პ ა პ ა

ცეცხლი არ მომაკაროთ,
თუ არ გინდათ გამაქროს!
მე შნოსთვის მაქვს ჩიბუხი,
თორემ არ ვწევ თამბაქოს.
მოდით, მოდით, ცელქებო,
დავუაროთ ფერხული;
თქვენც ხომ გიყვართ ზამთარი
თეთრად მორთულ-შემკული?

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

თოვლის პაპავ, ზამთარი
გვიყვარს. გვიყვარს, გვახარებს
ცივი, სუფთა ჰაერი
ჯანს გვიკაჟებს პატარებს.
მოგვწონს, როცა ეზოში
ყოჩაღად ხარ დამდგარი.
პაპავ, ახლა რას იზამ,
რომ ილევა ზამთარი?

თ ო ვ ლ ი ს პ ა პ ა

რა ვქნა, ჩემო კარგებო,
ვიცი, მალე დავდნები,
წამერთმევა ძალ-ღონე,
ფეხზე ვეღარ დავდგები.
ეჰ, ზამთარი ილევა,
ვგრძნობ, შემიდგა წყალია:
უნდა გამოგეთხოვოთ,
თუმცა მიმძიმს ძალიან.

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

ჰა, ილევა ზამთარი,
გაზაფხულიც მზად არის:
ამწვანდება მიდამო,
აყვავდება მთა-ბარი!
თოვლის პაპავ, ნახვამდის,
მოგიგონებთ ბავშვები
და მომავალ ზამთარში
უფრო დიდი დაგხვდებით!

თ ო ვ ლ ი ს პ ა პ ა

მაშინ შუა ეზოში
მეც ყოჩაღად დავდგები!

ალექსანდრე ჭეიშვილი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

უკრაინაში

ბავშვებო, თქვენ უთუოდ გაგიგონიათ ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით გურამიშვილის ეს შესანიშნავი სტრიქონები:

„ისმინე, სწავლის მძებნელო,
მიჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა“.

ქართველი მწერალი ცხოვრებამ უკრაინაში, რუსეთში გადატყორცნა. რუსმა და უკრაინელმა ხალხმა მოსიყვარულე გული გაუხსნა ჩვენს დიდ პოეტს. უკრაინა გურამიშვილის მეორე სამშობლო გახდა. თავის ლექსებში პოეტმა ჩააქსოვა რუსული და უკრაინული ხალხური ლექსების ტკბილი ჰანგები. იგი იყო რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის მომღერალი. პოეტი, ქალაქ მირგოროდში გარდაიცვალა. უკრაინელმა ხალხმა მის საფლავზე ძეგლი ააგო. მირგოროდის, ზუბოვკის სკოლებს გურამიშვილის სახელი დაერქვა. უკრაინელი ბავშვები სიყვარულით სწავლობენ გურამიშვილის ლექსებს.

ყოველწლიურად, აგვისტოში, გურამიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი დღეა. გასულ წელს სამი ქართველი მწერალი გავემგზავრეთ გურამიშვილის იუბილეზე. უკრაინელ მწერლებთან ერთად მოვიარეთ ბევრი შესანიშნავი კუთხე, სამრეწველო ქალაქები და აყვავებული კოლმეურნეობები. ვნახეთ დნეპროჰესი, კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ასკანია-ნოვას ნაკრძალებში მოვხვდით: ორასი კილომეტრი ისე გავიარეთ, რომ არა თუ ხე, ჩირგვიც ვერსად დავინახეთ.

უცებ ჩვენს თვალწინ გადაიშალა ზღაპრული შესანიშნავი ნაკრძალი, ერთადერთი ზოოპარკი მთელს მსოფლიოში, სადაც ბიზონები და ანტილოპები თავისუფლად ძოვენ სტეპებში, სადაც ნახავთ სირაქლემების ცეკვას, სადაც ტბაზე დაცურავენ ყელმოღერებული შავი და თეთრი გედები. ველური იხვები და ბატები თქვენს თვალწინ უშიშრად დაცურავენ ხელოვნურ ტბებში, ხოხბები და კაკბები თავისუფლად დაგოგავენ ჩირგვებში და ადამიანის ხელით დაყრილ საკვებს კენკავენ.

მშვენიერი სანახავია ანტილოპების ჯოგი, ცხენოსანი მწყემსის მეთვალყურეობით რომ ძოვს ნაკრძალის თვალუწვდენ მინდვრებზე. რა უცხო ცხოველს და ფრინველს არ ნახავთ ზოოპარკის ფართო მიდამოებში: ზუბრებს და ზუბრობიზონებს, კეთილშობილ ირმებს და კლდეების ბინადარ ჯიხვებს, დიდი რუსი მეცნიერის პრჟევალსკის მიერ აღმოჩენილ გარეულ ცხენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ მუშაობს ცხოველების და მცენარეების ახალ პირობებთან შეთვისების კვლევითი ინსტიტუტი.

ნაკრძალში გამოყვანილი ახალი ჯიშის ცხოველები გაოცებას და აღტაცებას იწვევს მნახველში; ასკანია-ნოვას ჯიშის ნაზბეწვიანი ცხვარი უნდა ნახოთ, იმოდენა მატყლი აქვს მსუქან ფერდებზე, რომ შორიდან პატარა ზვინსა ჰგავს. ან იქაური ჯიშიანი ტახები, რა სანახავია! აგერ, ისინი გარს შემოეხვივნენ საკვებით სავსე გობებს. ხარბად თქვლეფენ დაკეპილ გოგრას და ჭარხალს, თან ერთმანეთს უტევენ, ეშვებს აელვებენ.

— თუ გამძვინვარდნენ და ერთმანეთს დაეძგერნენ, ვერაფრით გააშველებ,— გვიამბობს თეთრხალათიანი მეთვალყურე ქალი,—ისეთი ძალა აქვთ, რომ თუ დინგი ამოჭკრეს ვეება მეტოქეს, ზურგს უკან გადაიგდებენ!

შესანიშნავია აქაური ჯიშის რქოსანი საქონელიც, რომელიც მრავლდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. იზრდება ხორცის, მატყლის, რძის ბარაქა ჩვენს ქვეყანაში.

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი ხელოვნური ტბის ნაპირას, რომელსაც ასწლოვანი მუხების, ნეკერჩხლების და ვერხვების ჩრდილი ჩამოსწოლია.

წყლიდან ამოწეულ ხის ფესვზე ფრთის ქვეშ თავშემოდებული იხვი თვლემს, ნამდვილი გარეული იხვი, რომელიც, ვინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იცის, რამდენი ათასი კილომეტრის სიშორიდან მოფრენილა. რომ დაუქშიო, გააღვიძებ, მაგრამ ფრთებსაც არ გაშლის ასაფრენად. საკვები რომ დაუყაროთ, სულ ახლოს მოცურდება თქვენთან; დარწმუნებულია, რომ აქ ხელს არავინ ახლებს. ეს ასეცაა. მას იცავენ, ბუდეებს უმზადებენ, საკვებს უმარაგებენ ზამთრისათვის. აქ მხოლოდ მტაცებელ ფრინველებს და ცხოველებს ხოცავენ, რომ ნაკრძალის ბინადრები მოსვენებით იყვნენ.

ასკანია-ნოვას ბოტანიკური ბაღი არანაკლებ მომხიბლავია, ვიდრე ამ ნაკრძალის ცხოველთა და ფრინველთა სამყარო.

უცებ ჩვენს წინ დაბურული ტყე აღიმართა. ყირიმის ფიჭვის, მუხისა და იფნის, აკაციისა და ვერხვის კენწეროები ცას ებჯინება. ამ ბუმბერაზი ხეების ქვეშ კი იასამნის ხშირი ბუჩქნარია, შიგ ველური ტახიც ძლივს გაატანს.

რამ აღმოაცენა სიცხით გადამწვარ სტეპში ეს მდიდარი მცენარეულობა, რომელიც ასე ამშვენებს აქაურ ბუნებას?

ასკანია-ნოვაში მძლავრ წყალსაქაჩებს ოცდახუთი მეტრის სიღრმიდან ამოაქვთ ანკარა წყალი, იგი საამურად ჩხრიალებს ხეებს შორის, გულს ულბობს დედამიწას, ამიტომ ასეთი მდიდარი ფერებით გაშლილა აქ ტყე და ბუჩქნარი.

არა მარტო აქ, არამედ გარშემო მდებარე ყველა კოლმეურნეობებში დაინახავთ დიდ სიღრმეზე გათხრილ ჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ შრომასა და ხარჯს მოითხოვს აქ თვითეული კასრი წყლის ამოზიდვა დედამიწის გულიდან. მაგრამ მალე ზედმეტი გახდება ეს მძიმე შრომა; ასკანია-ნოვას მახლობლად გაივლის მდინარე დნეპრიდან გამოყვანილი არხი და მთლიანად გარდაიქმნება ამ ველების სახე.

ასკანია-ნოვას დაბურული ტყე უკრაინის სტეპების მომავალს გვიხატავს. ის მცენარეულობა, რაც აქ ნიმუშის სახით არის მოცემული, მალე მთელ ამ თვალუწვდენ ველებზე გავრცელდება. რა თვალწარმტაცი გახდება მაშინ უკრაინის სტეპები!

ჯ. გოგიაშვილი

ნახატები შ. ცხადაძისა

პირველი სურათი

ვანომ მეცადინეობას თავი დაანება, ფოტოაპარატს ხელი დაავლო და გულმოსული გარეთ გავიდა.

ეზოში გელა ბებიას ეჩხუბებოდა.

ვანო ამხანაგს მიუახლოვდა და შესძახა:

— რა ამბავია, სულ ასე უნდა იჩხუბო? შენს გამო ველარ მიმეცადინია. რისთვის გეჩხუბება, ბებია?

— აბა, რა ვიცი, შვილო; სადღაც ბურთი დაკარგვია და მე მაბრალებს, შენ დამიკარგავდიო.

— დიახ, შენ დაკარგე, ჰო! შენ არ იყავი, ამას წინათ ოთახში ბურთზე რომ შალი დაგეგდო და მთელ დღეს ვეძებდი?—წამოიძახა გელამ და ბებიას კვლავ შეუტია.

— სულ ასე უნდა ეჩხუბებოდე უფროსს?—დინჯად ჰკითხა ვანომ.

— შენ რალა გინდა?

— როგორ თუ რა? გაკვეთილები უნდა ვისწავლო!

— მერე, ვინ გიშლის, წადი და ისწავლე!

— როგორ ვისწავლო ასეთ ხმაურში!

— ეგ რა ჩემი საქმეა, ბებიაჩემს ვეჩხუბები, ბებიაშენს ხომ არა!—უთხრა გელამ, მოხუცს მიუბრუნდა და შესძახა: — ჩქარა, ჩქარა, ბურთი გააჩინე.

ვანომ ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ცა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი თვალი დახუჭა, „წკაპ“!—გაისმა და ვანო შინ შევიდა.

გელას ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ვანო ხშირად იღებდა ეზოში სურათებს. ბურთი მინდაო, —კვლავ შესძახა ბებიას; სწორედ ამ დროს გამოჩნდა გელას ცუგრია, რომელიც პირით თასმიან ბურთს მოათრევდა.

გელა ძაღლს მივარდა, პირიდან ბურთი გამოგლიჯა, გვერდში წიხლი უთავაზა და შემდეგ ბურთით ხელში სადღაც გაიქცა.

შეშინებული ცუგრია მოხუცის გვერდით დაწვა და დიდხანს წკმუტუნებდა.

მეორე დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, პიონერთა ოთახში დიდი ფუსფუსი იყო: ბავშვები კედლის გაზეთს ამზადებდნენ, ძაგიდაზე გაშლილი ჰქონდათ დიდი თეთრი ქაღალდი. კოტე წერდა, ვანო ხატავდა. რედაქტორი გივი კი პიონერსელმძღვანელს კედლის გაზეთის მასალებს აცნობდა.

— კარგია, კარგი!—იძახდა პიონერ ხელმძღვანელი და რედაქტორს გულდასმით უსმენდა.

ხალისიანად მუშაობდნენ ბავშვები.

რამდენიმე დღის შემდეგ ბებიას კვლავ წაეჩხუბა გელა. გაბრაზებულმა არც კი ისაუზმა, ისე წავიდა სკოლაში.

გაკვეთილის დაწყებას ათიოდე წუთი აკლდა. გელამ შენიშნა, რომ მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად სადღაც მიდიოდნენ, დაბრუნებისას მას უცქეროდნენ და იცინოდნენ.

უეცრად კლასში მოსწავლე შევიდა, გელასთან მიირბინა და უთხრა.

— ნახე?

— რა?—გაოცებით ჰკითხა მან.

— კედლის გაზეთი.

— არა.

— წამოდი, —წამოიძახა ამხანაგმა და გელა პიონერთა ოთახისაკენ გაარბენინა.

კედლის გაზეთის წინ ბავშვები შეგროვილიყვნენ და ხარხარებდნენ.

გელამ აქეთ-იქით გასწია მოსწავლეები და დაინახა: ფოტოსურათში პირდაღებული დგას გელა და ბებიას ეჩხუბება. სურათის ქვეშ წარწერაა:

„ᲘᲪᲘ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ?!

რომ ეს ყმაწვილი ყოველდღე უმიზეზოდ ეჩხუბება თავის ბებიას!“

გელა გაბრაზდა, მზად იყო სურათი ჩამოეგლიჯა, მაგრამ შეჩერდა, ხელში ყელსახვევის ბოლოები შეათამაშა, აქეთ-იქით გაიხედა, ზარიც დაირეკა და ბავშვები ჟრიამულით შევიდნენ კლასში. საკლასო ოთახში გელა ვანოსთან მიიჭრა, ნაძალადევად გაუღიმა, გულში გაიფიქრა: „გიჩვენებ სეირსო“, მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს.

ამ დროს მასწავლებელიც შემოვიდა და გაკვეთილი დაიწყო.

ვერ ისვენებს გელა. სამაგიეროდ უნდა გადაუხადოს ვანოს, მაგრამ როგორ?!

ერთხელ გაკვეთილების შემდეგ ვანო გადაღებული სურათების დაბეჭდვას აპირებდა.

— მეც მასწავლე სურათების გადაღება და დაბეჭდვა, რა იქნება, შემდეგ მეც ჩავეწერები ფოტოწრეში!—სთხოვა გელამ ვანოს.

— წამო, რატომაც არა!—მიუგო ვანომ და ოთახში შევიდნენ.

მაგიდაზე ფოტოაპარატი, სურათების საბეჭდი ქაღალდები, წამლები, დასაბეჭდი ჩარჩო და ფოტოლენტი ეწყო.

— აი, გასწავლი, როგორ მჟღავნდება სურათი.—უთხრა ვანომ გელას, შემდეგ სინათლე ჩააქრო, წითელი ნათურა აანთო და საქმეს შეუდგა.

— გელა, პირსახოცი მომაწოდე, — სთხოვა ვანომ გელას.

გელას თითქოს არ გაუგონიაო, ფოტოაპარატს დასცქეროდა და ფიქრობდა: რა იქნება, რომ აპარატს ხელი წავკრა?

— პირსახოცი მომაწოდე, აპარატთან დევს.—გაუმეორა ვანომ.

— ახლავე!—მიუგო მან, გულში გაიფიქრა: სამაგიეროს გადახდის უკეთეს შემთხვევას ველარ ვიპოვნიო, პირსახოცი განგებ წამოჰკრა აპარატს და იატაკზე გადმოაგდო.

— გატეხე?—იკითხა გულდაწყვეტილმა ვანომ.

— ძალით ხომ არ მინდოდა.—ჩაიბუტბუტა გელამ და გარეთ გავიდა.

ვანო ჩუმად იდგა და აპარატს ნაღვლიანად დაჰყურებდა.

ადრე გაზაფხულზე სკოლის ეზოდან მხიარული სიმღერა ისმოდა. ბავშვები ნაკვეთზე მუშაობდნენ; ზოგი ბარავდა, ზოგიც ხეებს რგავდა.

ვანოს პიონერხელმძღვანელი მიუახლოვდა:

— წადი, შენი აპარატი მოიტანე—კედლის გაზეთისათვის სურათი გადავიღოთ და ასე დავაწეროთ: „წარჩინებული ნორჩი მებაღე“.

— ვინ უნდა გადავიღოთ?—იკითხა ვანომ.

— ხედავ, როგორ გულმოდგინედ მუშაობს გელა?!

გელამ, რომელიც იქვე ხეს რგავდა, გაიგონა ეს სიტყვები და შეწუხდა. როგორ გადაუღებს ვანო სურათს, აპარატი ხომ გატეხილია. ესეც შენ, ახია ჩემს თავზე.—ფიქრობდა იგი.

— ჰა, რას გაჩუმდი, მოიტანე აპარატი,—გაუმეორა პიონერხელმძღვანელმა.

— აპარატი გატეხილია,—ძლივს წარმოთქვა ვანომ.

— მართალს ამბობ? თუ კი ცუდი საქციელისათვის გადაიღე, რატომ არ გინდა გელას კარგიც აღვნიშნოთ, მოიტან?

— გატეხილია, ხელმძღვანელო.

— კარგი, კარგი. გელა, აქ მოდი!

გელა პიონერხელმძღვანელს მიუახლოვდა.

— თქვენ ხომ ერთ ეზოში ცხოვრობთ?—ჰკითხა გელას.

— დიახ.

— ვანო ამბობს, აპარატი გატეხილიაო, მართალია?

— დიახ.

პიონერხელმძღვანელი ვანოს მიუახლოვდა:

— როგორ გაგიტყდა?

ვანო ხმას არ იღებდა.

— როგორ გატყდა?—გაიმეორა პიონერხელმძღვანელმა.

— მე გავუტეხე, ხელმძღვანელო.—თქვა გელამ და ვანოს სინანულით გადახედა.

— რაღაც ძველებურად ველარ მეგობრობთ.—დაეჭვებით თქვა ხელმძღვანელმა და წავიდა.

პიონერრაზმის შეკრებაზე გელამ გულახდით უამბო ყველაფერი ამხანაგებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ თავი ჩაღუნა და დარცხვენილი ისმენდა პიონერხელმძღვანელის სიტყვებს; მან გაჰკიცხა გელას საქციელი. შემდეგ გელას ამხანაგებმაც ილაპარაკეს. შეარიგეს მეგობრები,. მაგრამ გელა მაინც დაღონებული ბრუნდებოდა შინ. მას საყვედური გამოუცხადეს.

როდის ექნება გელას შემთხვევა, რომ გამოისყიდოს თავისი დანაშაული? ბევრს ფიქრობდა ამაზე გელა, ფიქრობდა და ერთ დღეს ასეთი ამბავიც მოხდა: მან მოსკოვიდან, ძია შალვასაგან ამანათი მიიღო. გახარებულმა სწრაფად გახსნა იგი.

— ბიჭოს, ფოტოაპარატი!—გაკვირვებით წამოიძახა გელამ და ჩაფიქრდა:

— რა იცოდა, რომ ასე გულით მინდოდა?—ჰკითხა ბებიას.

— მე დავაბარე, შვილო,—მიუგო ბებიამ.

გახარებულმა გელამ ვანოს დაუძახა და უთხრა:

— აი, ძმაო, ეს ფოტოაპარატი შენთვის მიჩუქებია, კიდევ ხომ გადაგვიღებ მე და ბებიას სურათს?

ვანო შედგა. არ იცოდა რა ექნა. ყოყმანის შემდეგ ფოტოაპარატი გამოართვა, დედასთან მიირბინა და აპარატი აჩვენა.

— დედა, ძია შალვას გამოგზავნილ ამ საჩუქარს გელა მე მაძლევს, გამოვართვა?

— არა, შვილო, უხერხულია. გელას აჩუქეს, შენთვის ხომ არ გამოუგზავნიათ. ხომ შეაკეთებინე შენი აპარატი!

— კარგი, დედა,—წამოიძახა ვანომ, აპარატში ახალი ლენტი ჩადო და ისევ გელასთან შეირბინა.

გელა ბებიას ეხვეოდა და თან ეუბნებოდა:

— ხომ აღარ მიწყენინებია შენთვის ბებია, ხომ აღარ მემდური?!

ვანო გახარებულ მეგობარს მიუახლოვდა:

— მადლობელი ვარ, მაგრამ ეს აპარატი შენ გეკუთვნის, მე არ ავიღებ, გმადლობთ!—თქვა ვანომ, ბებია და გელა ერთად დააყენა, არ გაინძრეთ, გაიღიმეთ, ვიღებო,—დაიძახა და ახალი ფოტოაპარატით პირველი სურათი გადაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ქუჩუკაშვილი

გოგის ციგა

მამამ ციგა მომიტანა,
ამისრულდა წადილი,
წითლად არის შეღებილი,
ციგა არის ნამდვილი.

პალტოს ვიცვამ სიხარულით,
როგორც ჩიტი, მარდი ვარ.
ციგა მიმაქვს, ჩემი ციგა
და ეზოში ჩავდივარ.

უჰ, რამდენი ბავშვი არის,
მე ამაყად მივდივარ.
მე ციგა მაქვს, კარგი ციგა,
ახლა უკვე დიდი ვარ.

მე აღმართში ციგა მიმაქვს,
ჩემს წინ გუნდა მოგორავს.
მე ციგაზე ვჯდები, უცბად
ჩემთან მორბის გოგონა.

ამბობს: დამსვი შენს ციგაზე,
ისევ მალე ავდგები,
რა იქნება, თავდაღმართზე
ერთხელ ჩავსრიალდები!

— გთხოვთ, დაბრძანდეთ!—ვეუბნები,
მებრალება, ცოდოა.
თმა რა კარგად დაუწვნია,
მეტად კარგი გოგოა.

ციგასა მთხოვს და ციგაზე
უარს ვეტყვი როგორა!
ჩემი ციგით მისრიალებს
წითელქუდა გოგონა.

მე ჩავრბივარ თავდაღმართზე,
ციგას უკან მივყვები,
სულ დავრბივარ, ის ციგაობს
თითქოს სულ არ ვიღლებით...

საღამომდე ჩემი ციგა
მე აღმართში მიმქონდა.
გოგონა კი თავდაღმართში
სიხარულით მიქროდა.

ნახატი დ. ბარქაიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ბეზარაშვილი

ნახატი ვლ. ფოროფაძისა

მშენებლები

— ოთარ, მომეხმარე, პატარა სახლი ავაშენოთ!—უთხრა გურამმა ამხანაგს.

— ავაშენოთ, მაგრამ რისგან, მასალა რომ არა გვაქვს?

— ჩვენს ეზოში კირის, ქვიშის და აგურის გროვა არის. იქიდან ავიღოთ.

— ავიღოთ!—დაეთანხმა ოთარი.

— მე ინჟინერი ვარ; აქ ბოძები იქნება; აქ—კარი და აქ კი—ფანჯრები.—ამბობდა გურამი და წვერწათლილი ჯოხით მიწაზე ხაზავდა.

გურამს და ოთარს ნანული და ნუნუ შეუერთდა და გაჩაღდა მუშაობა. ზოგი წყალს ეზიდებოდა, ზოგი კირს და ქვიშას, ზოგიც—აგურს. ბავშვებმა გურამის ნახაზის მიხედვით ამოთხარეს საძირკველი და დაიწყეს კედლების შენება, შემდეგ კრამიტით გადახურეს. მუშაობაში ისე სწრაფად გავიდა დრო, რომ ბავშვებმა ვერც კი შეამჩნიეს.

— გურამ, სადა ხარ? ვინ დააბნია ამდენი კირი და ქვიშა?—გაისმა ბებიას ხმა.

— ბებია დაბრუნებულა ბაღიდან. სულ არ გამახსენდა, რომ...—დაღონდა გურამი.

— რა არ გაგახსენდა?—შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ბებოსათვის უნდა მეკითხა, შეიძლებოდა თუ არა სამშენებლო მასალის აღება.

— უფროსები გაგვიწყრებიან!—წაიჩურჩულეს ბავშვებმა და გაქცევა დააპირეს, მაგრამ უცებ ბებია თავს წამოადგათ.

— ეს რა არის! რატომ წაახდინეთ ამდენი ქვიშა და კირი? განა არ იცით, რომ სათამაშოდ არ არის მოტანილი?—ტუქსავდა გურამს ბებია.

გაჩუმებული გურამი თავს მართლაც დამნაშავედ გრძნობდა. ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

უცებ გაისმა ნანულის ხმა:

— ბებია, კარგი სახლი ავაშენეთ, და ნუ გაგვიჯავრდებით, თქვენ რომ პატარა მურია გყავთ, ის ზამთარში გარეთ ველარ დაიძინებს, გაცივდება. ამ პატარა სახლში კი თბილად იქნება.

— დაუკითხავად ხელს აღარაფერს ვახლებ!—თქვა დარცხვენით გურამმა.

ბებიას მოეწონა ბავშვების ნათქვამი და სახლს ღიმილით გადახედა.

5369

ბუნების კარი

მოძრავი მცენარეები

ნანული და გივი ერთ კვირა დღეს ძია მიხეილს ესტუმრნენ, რომ სათბურში გამოზამთრებისათვის დაბინავებული ყვავილები ენახათ.

— სალამი, ჩემო კუდრაჭებო! — მიესალმა წითელყელსახვევიან სტუმრებს ძია მიხეილი. აბა, ახლა უნდა შეგისრულოთ ჩემი დაპირება! — მან სათბურის შესასვლელში სტუმრებს პალტოები გახადა და მთავარ განყოფილებაში შეუძღვა.

ბავშვები გაოცდნენ მრავალფრად გადაშლილ ყვავილთა სანახაობით. სათბურში მოზრდილი კასრებით ჩამწკრივებული იყო მუდამ მწვანე მცენარეები: პალმები, ფიკუსები და ოლეანდრები.

— აი, გივი, ეს ხომ ყველაზე ლამაზია?! — წამოიძახა ნანულიმ.

— არა, მე ეს ლურჯი ყვავილები უფრო მომწონს, — უპასუხა გივიმ და მიუთითა ჯგუფ-ჯგუფად გადაშლილ, თაიგულივით შეკრულ „არ დამივიწყოს“ ყვავილზე.

ბავშვები მიუახლოვდნენ მოზრდილ ქოთანში ჩარგულ მცენარეს.

— აბა, გივი, ხელი შეახე ამ მცენარეს!

ხელის შეხებით ფოთლები სწრაფად დაიკეცა.

— რატომ შეეშინდა, ძია, ხელის შეხებისა? — იკითხეს განცვიფრებულმა ბავშვებმა.

— არა, ყმაწვილებო, ახლა მას საშიში აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ, ასეთი თვისება აქვს. ამ მცენარეს, სახელად „მიმოზა“ ჰქვია; მისი სამშობლო ცხელი ქვეყნებია. იქ წვიმა იშვიათად იცის, მაგრამ როცა მოდის, ძლიერ მსხვილი და მძიმე წვეთები ეცემა მიწაზე. ტროპიკული წვიმის შხეფებს კი ამ პატარა მცენარის ნაზი ფოთლები ვერ უძლებს, ზიანდება. ამიტომ პირველი წვეთების მოხვედრისთანავე ყველა ფოთოლი იკეცება, ღეროს ეკვრის და ასე იცავს თავს ძლიერი წვიმისაგან.

— მაშ, ეს ჩვეულება „მიმოზას“ თავდაცვისათვის ჰქონია, ძია მიხეილ?

— დიახ, ჩემო პატარებო, — უპასუხა მებაღემ და ახლა ნანული და გივი სხვა მცენარესთან მიიყვანა. ამ პატარა მცენარის ფოთლების ზედა მხარე ხაფანგს წააგავდა და ზედაპირი ბუსუსებით ჰქონდა დაფარული. ძია მიხეილმა ერთ ფოთოლზე ქაღალდის პატარა დამრგვალებული ბურთულა დადო. მცენარის ფოთოლი სწრაფად მოიკეცა ორივე მხრიდან და შიგნით მოაქცია ქაღალდის ბურთულა.

— ამ მცენარეს „ბუზიჭერია“ ჰქვია.

— როგორ, განა ბუზის დაჭერა შეუძლია? — იკითხა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არამც თუ დაჭერას, ამ ფოთლებით ბუზის შეჭმასაც ახერხებს,—უპასუხა ძია მიხეილმა.—საკმარისია ბუზი დააჯდეს რომელიმე ფოთოლს, რომ იგი სწრაფად დაიკეცება და ბუსუსების საშუალებით ბუზს შიგნით მოიმწყვდევს. რამდენადაც მეტად იმოძრავებს ბუზი თავის დასახსნელად, იმდენად უფრო მჭიდროდ ჩაიჭერს ფოთოლი მას და ბოლოს ბუზი კვდება. შემდეგ ეს მცენარე ფოთლიდან გამოჟონილი წვეთებით დაშლის მკვდარ ბუზს და გამოწუწნის.

განა მარტო ამ მცენარეს აქვს მოძრაობის უნარი, ჩემო პატარებო, აი, დააკვირდით ამ დიდსა და ლამაზყვავილებიან მცენარეს. ეს ყვავილი ხშირად გვხვდება ბაღის ყვავილთა შორის, ოჯახებშიაც ქოთნებით აქვთ გამოდგმული ფანჯრებზე; მას „პროკუსი" ეწოდება. მისი ყვავილები ჩვეულებრივ. დილით იშლება, ხოლო საღამოთი სრულიად იხურება. „ბაბუაწვერას" ყვითელი ყვავილებიც, მინდორში მრავლად რომ იზრდება, მხოლოდ თბილსა და მოღრუბლულ ამინდში გაიხსნება, დილით და საღამოთი კი იხურება.

— იმათაც მიმოზასავით ეშინიათ?— იკითხა გივიმ.

— არა, ყვავილთა ეს თვისება დამოკიდებულია სინათლის და სითბოს სხვადასხვა პირობებზე. ღამით ყვავილები იმიტომ იხურებიან, რომ სიცივისა ეშინიათ!

კიდევ ბევრი რამ აჩვენა და უამბო ძია მიხეილმა ბავშვებს.

პატარა, ლამაზი თაიგულებით დაბრუნდნენ სახლში გივი და ნანული.

— მე ახლა უფრო უკეთესად მოვუვლი ჩვენს ყვავილებს. გაზაფხულზე დედა რომ მომიტანს პატარა ქოთნებით, ზამთარში ძია მიხეილს ვთხოვ სათბურში შემინახოს.—უთხრა ნანულიმ გივის.

— მე აგრონომი უნდა გავხდე,—თქვა გივიმ,—ვისწავლი, როგორ იზრდება და მრავლდება სხვადასხვა ლამაზი ყვავილი!

გიორგი დათუაშვილი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ნახატები **ი. სუხიშვილისა**

ფასი 2 მან. № 2/69



თინათინ კვირიკაძე

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

სანიტარი გოგონა

პაწაწინა თამარი
უკვე პირველ კლასშია,
დღეს სანიტრად დანიშნეს,
რა ყოჩაღი ბავშვია:

იმწუთშივე ადგა და
თეთრი ტილო იყიდა.
კოხტა ჩანთა შეკერა,
მხარზე გადაიკიდა.

დააკერა ნიშანი
პაწაწინა თითებით,
შიგ გულდაგულ ჩააწყო
საექიმო ნივთები.

საქმეს მორჩა დილამდე,
საზრუნავი აღარ აქვს;
ყურადღებით გასინჯავს
ხვალ თვითეულ ამხანაგს.

ჩაინიშნავს რვეულში,
რაც არ მოეწონება.
ღირსეულად ატარებს
სანიტარის წოდებას.

ყდაზე: „სუვოროველები პიონერთა სასახლეში“. ნახატი რ. ცუცქირიძისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 2 Февраль 1953 г. Тбилиси, Ленина 14.
საბჭოგამ. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 11. სტამბის შეკვ. № 1590|114 ტირაჟი 15.000 უე 00040